ქართული ტრადიციული მედიცინის საკითხები და მედიკამენტების ისტორია (ეთნოისტორიული პარალელები)

რამაზ ხაჭაპურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: Ramazi1964@gmail.com

https://doi.org/10.52340/lac.2022.833

უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში, ძველ კარაბადინებში მოცემული სამკურნალო მეთოდების შეჯერებამ ხალხურ რეცეპტებთან თვალნათლივ დაგვანახა, რომ რამდენიმე ეფექტური სამკურნალო საშუალება დღემდე შემოუნახავს ხალხურ მეხსიერებას. მკვლევარი ნ. მინდაძე აღნიშნავს: ,,არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქართული ოფიციალური მედიცინის გავლენით დამკვიდრდა ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი სამკურნალო საშუალება" [მინდაძე, ჩირგაძე, 2005:53].

მედიკამენტებს, ისეთივე მრავალწლიანი ისტორია გააჩნია, როცა პირველყოფილი ადამიანები "ბოროტი სულების განდევნიდან, გადავიდნენ განკურნების პრაქტიკული ზომების მიღებაზე, რაც თავიდან სითბოსა და სიცივის, შემდეგ კი ბალახების, მინერალური და ცხოველური წარმოშობის საშუალებების გამოყენებაში გამოიხატებოდა.

ისინი ითვისებდნენ რა ადგილობრივ ფლორას, პოულობდნენ საკუთარი თავისთვის უამრავ სასარგებლო მცენარეს (საჭმელი, საყოფაცხოვრებო, ასევე სამკურნალო და შხამიანი თვისებების მქონე მცენარეებს). ამ მცენარეებს, გამოიყენებდნენ ტკივილის გასაყუჩებლად, შიმშილის გრძნობის მოსაკლავად, ამის დადასტურებად მიიჩნევა ყველაზე უძველესი ნიმუში, მსოფლიოში პირველი ფარმაკოპეა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3500 წელს შუმერების სახელმწიფოშია შედგენილი და დატანილია მცირე ზომის თიხის ფირფიტებზე, იმ დროის გამოჩენილი მკურნალის ლაო-ლაოს მიერ.ეს უნიკალური ნაშრომი მხოლოდ 1956 წელს გაიშიფრა. ამ დოკუმენტის თანახმად შუმერი ექიმი წამლების დამზადებისას მცენარეულ, ცხოველურ და მინერალურ საშუალებებს მიმართავდა. ამ უკანასკნელიდან ყველაზე პოპულარულად იმ დროისთვის ნატრიუმის ქლორიდი და კალიუმის ნიტრატი ითვლებოდა. ცხოველური საშუალებებიდან - რძე, გველის ტყავი და კუს ბაკანი. მაგრამ წამლების უმრავლესობა, მაინც მცენარეული წარმოშობის იყო.

ბალახეული უბრალო წამლების ჭრილობების და დაავადებების სამკურნალოდ გამოყენებაზე მეტყველებენ ფარაონ სნოფრის ეპოქის ეგვიპტური პაპირუსები (3000 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე). აგრეთვე "კანონი ფესვებზე და ბალახებზე", რომელიც აღწერდა ჩინური მედიცინის საშუალებებს.იგი გამოიყენებოდა ლეგენდარული იმპერატორის შენ ნუნეს პერიოდში (2800 წელი ჩვ. წ.აღ). ცნობილი ემბერსის პაპირუსი (1700 წელი ჩვ. წ.აღ), შეიცავს 800-მდე სხვადასხვა წამლის რეცეპტს და ელემენტალურ წარმოდგენას იძლევა მათი დამზადების ტექნოლოგიაზე.

ამ პაპირუსში იყო როგორც საეჭვო რეკომენდაციები (მაგალითად მიგრენის საწინააღმდეგო წამლის შემადგენლობაში შედიოდა კიბოს თავი, ღორის კბილი, ნიანგის სისხლი, კუს ტვინი, ანტილოპას ცურცლი, კატის შიგნეულობა), ასევე საკმაოდ ღირებული ინფორმაციები, მათ რიცხვს მიეკუთვნება მითითება თვალის დაავადებების წინააღმდეგ ხარის ღვიძლის გამოყენების ეფექტურობაზე.

მართლაც, დღესდღეობით თვალის ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა ქსეროფთალმია და გემერალოპია (ქათმის სიბრმავე) გამოიყენება A ვიტამინის შემცველი პრეპარატები, რომელიც მდიდარია ხარის და სხვა ცხოველების ღვიძლით. ძველ ეგვიპტეში დიდი მოთხოვნა იყო ლადანზე (არომატული ფისი), რომელიც ხის ქერქის ნაჭრებისგან მზადდებოდა. ეს ხეები კი აფრიკაში, წითელი ზღვის სანაპიროზე ხარობდა.

მრავალრიცხოვანი სამკურნალო მცენარეებია ცნობილი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ყველაზე უფრო ძველად ჩინური მედიცინა ითვლება. 3000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთში გამოიყენებოდა 230 სამკურნალო და შხამიანი მცენარე, 65 ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება და 48 სამკურნალო მინერალი. დამწერლობის გამოგონებასთან ერთად შეგროვებული ცნობები ჩაწერილი იქნა წიგნში "წიგნი ბალახების შესახებ" ("ბენ-ცაო"). ეს ნაშრომი ყველა შემდგომი ჩინური სამკურნალო გამოცემის პირველწყაროდ და საფუძვლად ითვლება.

იმპორტული სამკურნალო მცენარეები ჩინეთში ფაქტიურად არ შედიოდა. ყველაზე უფრო ვრცელი სამკურნალო მცენარეების კრებული შედგენილი და გამოცემულია XVI საუკუნეში ლი-ში-ჩჟენის მიერ. ეს კრებული დღემდე უბადლო ნამუშევრად ითვლება. მასში აღწერილია 1892 ობიექტი, აქედან მცენარეული სამკურნალო საშუალება-900-მდეა.დანარჩენი ობიექტები კი ამ მცენარეების გადამუშავების შედეგად მიღებული, ან მინერალური და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებია.

ინდურ მედიცინას, ჩინურის მსგავსად, აქვს ფილოსოფიური სამედიცინო თეორიები და მედიკამენტების ფართო ასორტიმენტი, რომელთა ბაზა საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ფლორაზეა დაფუძნებული.ინდოეთის უძველეს სანსკრიტულ წიგნად, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდეა შედგენილი-"აიურვედა" (მეცნიერება სიცოცხლის შესახებ) ითვლება.

ეს წიგნი შემდგომში რამოდენიმეჯერ დამუშავდა, მის ყველაზე ცნობილ ნიმუშად ინდოელი ექიმის სუშრუტის მიერ რედაქტირებული და აღწერილი 700-ზე მეტი სამკურნალო მცენარის დახასიათებაა მიჩნეული.

ტიბეტური მედიცინა ინდური მედიცინის ბაზაზე აღმოცენდა. იგი შეტანილია ტიბეტში ბუდიზმთან ერთად (ჩვენი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეში). ბევრი სანსკრიტული წიგნი ნათარგმნია ტიბეტურზე და მათი გამოყენება დღემდე ხდება. ყველაზე უფრო ცნობილია წიგნი "ჯუდში" ("სამკურნალო არსი"), ეს წიგნი "აიურვედას" საფუძველზეა შედგენილი.

მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს არაბმა მეცნიერმა მედიკოსებმა და ფარმაცევტებმა. არაბები უფრთხილდებოდნენ და ანვითარებდნენ უძველეს კულტურულ ხალხთა მემკვიდრეობებს, მათ შორის მედიცინასაც. ჯუნჯიშაპურისა და ალექსანდრიის სამედიცინო სკოლებში აყვავების ხანა იდგა. ამ სკოლებშივე ითარგმნებოდა რომაული და ბერძნული სამედიცინო წიგნები არაბულ ენაზე. ცნობილია არაბ ექიმთა მთელი პლეადა, რომელთაც უდიდესი მემკვიდრეობა დატოვეს ორიგინალური თხზულებების სახით, რომლის შინაარსში მანამდე ცნობილი სამეცნიერო მიღწევების გარდა, ასახული იყო საკუთარი ცდებისა და დაკვირვებების შედეგები.

მათ შორის ცნობილია აბუ მანზურ მუვაფიკი, რომელმაც 977 წელს დაწერა წიგნი, რომელშიც 466 სამკურნალო მცენარე და 44 ცხოველური წარმოშობის ნივთიერება შედიოდა.

ძველი ეგვიპტის მედიცინამ დიდი გავლენა მოახდინა ძველი საბერძნეთის მედიცინაზე. ძველ ბერძნებს შორის ცხოვრობდნენ ეგვიპტიდან გადმოსახლებულები, რომლებიც ამავე დროს ექიმებიც იყვნენ, ისინი არა მარტო კურნავდნენ ავადმყოფებს, არამედ ასწავლიდნენ ბერძნებს საექიმო ხელოვნებას.

მცენარეების სამკურნალო თვისებების შესწავლას დიდ დროს უთმობდა ძველი ბერძენი ჭეშმარიტებისმაძიებელი, ფილოსოფოსი და ბოტანიკოსი ფეოფრასტი (372-287წ ჩვ.ს წ.აღ.) ის ავტორია ცნობილი ტრაქტატის "გამოკვლევები მცენარეებზე" ეს ნაშრომიც ევროპის ბევრ ენაზე ითარგმნა.

ევროპული ფარმაკოლოგიის მამად მიიჩნევა ბერძენი მეცნიერი დიოსკორიდი (ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნე), რომლის განთქმული ნაშრომი "Materia medica", შესაბამისი მცენარეების სურათებით, მრავალი საუკუნის განმავლობაში ავტორიტეტულ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა.

ძველი საბერძნეთის განთქმულმა ექიმმა ჰიპოკრატემ (460-377 წელი ჩვენს ერამდე) ერთ-ერთმა პირველმა დაუდო საფუძველი მკურნალობაზე ბუნებრივი წარმოდგენის შექმნას. მან შექმნა ნაშრომი "**Corpus Hyppocraticum",** რომელიც შემდგომში ევროპულ ენებზე ითარგმნა. ჰიპოკრატე ძირითადად ფიზიკური და დიეტური მეთოდებით მკურნალობდა, თუმცა მის ნაშრომში 230-ზე მეტი სამკურნალო მცენარე შედიოდა.

ძველი რომის განთქმულმა ექიმმა და ფარმაცევტმა გალენმა (201-131წ. ჩვენს ერამდე) პირველმა შეიმუშავა ნაყენის მიღების მეთოდები ღვინოზე, ძმარზე, ზეთზე, სიროფზე, ასევე ფხვნილისა და სალბუნის შექმნის ტექნოლოგია.

შუა საუკუნეების უდიდესმა ექიმმა და ფილოსოფოსმა, ტაჯიკი ხალხის დიდმა შვილმა აბუ ალი იბნ-სინამ (ავიცენა 980-1037) რომელიც ბუხარიდან იყო, ნაშრომში "კანონი საექიმო მეცნიერებაზე" აღწერა წამლის ისეთი ფორმები, როგორიცაა ნახარში, აბი, მალამო...

და პირველმა მოითხოვა გამოეცადათ წამლის მოქმედება ავადმყოფ ცხოველებზე. ამ კანონების ორი ტომი (II და V) მთლიანად ეძღვნებოდა ფარმაციას. მისი წიგნები ნათარგმნია ლათინურად, ხოლო შემდეგ მრავალ სხვა ენაზე და ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ევროპაში, ისევე როგორც დიოსკორიდისა და გალენის ნაშრომები.

სამედიცინო საშუალებების არსენალის გაზრდამ და წამლების დამზადების მეთოდების გართულებამ, აუცილებელი გახადა მომხდარიყო ექიმების სპეციალიზაცია.მათ ან უნდა განეკურნათ ავადმყოფები, ან წამლები დაემზადებინათ. გამოჩნდა პირველი აფთიაქებიც-ბაღდადი - VIII საუკუნე, ევროპა - XI საუკუნე (ქალაქი ტოლედო).იმ შორეულ ეპოქაში ექიმი თვითონ მიდიოდა აფთიაქში და უკვეთავდა წამალს თავისი პაციენტისთვის.

რეცეპტების გამოწერა დაიწყეს მხოლოდ XVI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც გამოგონებული იქნა ქაღალდის მასიური წარმოების მეთოდები.

ჩვენ შევეცადეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაგვედასტურებინა აღნიშნული მოსაზრების მართებულობა. გაგაცნობთ ზოგიერთ დაავადებათა მკურნალობის შინაურ რეცეპტებს, რომელთა წარმომავლობა ხალხურ მედიცინაში უძველესი კარაბადინებისა და სამკურნალო წიგნების გავლენითაა დამკვიდრებული.

სასუნთქი გზების დაავადებების შესახებ ცალკეული ცნობები V საუკუნიდან გვხვდება. ხოლო მათი, როგორც გარკვეული სნეულებების აღწერა უკვე XI საუკუნიდან მომდინარეობს. უძველესი მედიცინა იყენებდა ისეთ რთულ მანიპულაციებს, როგორიცაა ცხვირში პოლიპების ამოკვეთა. ლორწოვანი გარსის ანთებისას ავადმყოფს ურჩევდნენ პირაღმა წოლას, ოფლის მოდენასა და ორთქლის მანიპულაციებს [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956:92] ,,წისქვილისა ქვა გაახურვე და ღვინოშიგა ჩააგდე და თავი ზედა წაიშვირე და დაიბერე, რომე ბუხარი ცხვირშიგა შევიდეს" [ქანანელი, 1940: 235].

საოჯახო პირობებში ხშირად მიმართავენ ინჰალაციურ მეთოდებს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სოდიანი და იოდიანი ცხელი წყლის შესუნთქვა.

XV ს. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის **,,სამკურნალო წიგნი"** საინტერესო მეთოდს გვთავაზობს: ,,თუ კაცსა სენი ცხვირშიგა შეექმნას, ესე იორთქლოს, ანაკვეთი ძმრითა მოადუღოს და იორთქლოს" [ფანასკერტელ-ციციშვილი,1988:361]. გაციებული ავადმყოფის საშინაო პირობებში მკურნალობის იგივე მეთოდები გამოიყენება დღესაც. ოფლის მოსადენად იღებენ ასევე ცაცხვის ჩაის ჟოლოს მურაბით ან შინდის წვენით.

ანგინას XI ს. წყაროებში ,,მალაზას" უწოდებდნენ. მის სამკურნალოდ იხმარებოდა: ,,აიღე თეთრი შაბი ოთხი დრამი, გულნარი რვა და ქაფური და ნიშადური, ყველა დანაყე და რკინის კოვზი დაასოვლე და ეს წამალი დააყარე და შეუყარე პირშიგა" [ქანანელი, 1940:346] გარდა ამისა, ავადმყოფს ყელში სავლები საშუალებები ენიშნებოდა (მრავალძარღვა, ქინძის წვენი და სხვ.) სამკურნალო წიგნებში იგი ,,ღარღარას" სახელითაა ცნობილი.

ყელის ტკივილის დროს ,,ხმის ჩავარდნის" გამო ,,უსწორო კარაბადინში" ვკითხულობთ: ,,წამალი ხმის ჩავარდნისა ის არის, რომ ფიცხლავ უწამლო, თუ ხანი გამოვა,

ძნელად ეწამლების” [ქანანელი,1940:250] სამკურნალოდ ავადმყოფს ეძლეოდა ნუშის გულის ზეთში დამბალი თეთრი ჩამაჩი, ასევე გოგლიმოგლი ცხელი რძითა და კარაქით [,,წიგნი სააქიმოი”, 1936:154].

მსგავს მეთოდებს იმეორებს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ,,სამკურნალო წიგნი”, სადაც ვკითხულობთ: ,,ღარღარა აქნევინოს ოსპის და ბროწეულის წყლისა” [ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, II, 1988: 304].

XVI ს. **,,იადიგარ-დაუდი”** ყელის ტკივილის სამკურნალოდ გვთავაზობს: ,,მოიტანე გუნდი და ხმელი ვარდი, ოსპი და თუთუბო, ბროწეულის ყვავილი, პიტნა და შაქარი” [დ. ბაგრატიონი, 1985:337] ხალხურ მედიცინაში იდენტური სამკურნალო საშუალებებია დაფიქსირებული. ქვემო იმერეთის, ოკრიბის, სამეგრელოს, კახეთის მასალებში ყელის ტკივილის დროს მეტწილად იყენებენ კვაწარახს, ტყემლის ტყლაპს, რძეში ჩაგდებულ თხის ქონს. ბროწეულის, ასკილისა და პიტნის ნაყენში გარეულ თაფლსა და ევკალიპტის ფოთლების ნახარშს.

ცნობები **ყურის** სნეულებათა შესახებ ჯერ კიდევ V-VI საუკუნეების წერილობით წყაროებში გვხვდება. ყურის ცალკეული დაავადებები აღწერილია მოგვიანო ეპოქის სამედიცინო კარაბადინებში. თუ ყურის ტკივილის გარდა ავადმყოფს სხვა მოვლე-ნები არ ექნებოდა გამოხატული, ამას ,,ყურის ხმელად ტკივილს” უწოდებდნენ, ასეთ შემთხვევაში ტკივილის დასაყუჩებლად ქაფურში შერეულ სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებებს აწვეთებდნენ ყურში [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956:97]. XI ს. ,,უსწორო კარაბადინში” ვკითხულობთ: ,,ცოტა მურდასანგი ძმრით გალესე და მატყლისა პატრუქში შექენ და ამაშიგა გაურივე და ყურშიგა შეუდევ” [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956:98]

XIII ს. ,,წიგნი სააქიმოი” გვასწავლის: ,,აიღე ჟანგი ერთი დრამი და ბზისა ხე... თაფლშიგან გაურივე და პატრუკითა მიეც” ამდენად, ფილთა ანუ პატრუქი შეჰქონდათ მტკივან ყურში [წიგნი სააქიმოი, 1936:232].

ქვემო იმერეთში ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისას ჩავიწერეთ ყურის ტკივი-ლის სამკურნალოდ იდენტური მეთოდი: ტილოს ნაჭერს უსვამენ გამდნარ სანთელს, ნაჭერს ახვევენ ძაბრივით და უდებენ ავადმყოფს ყურში, განიერი წვერიდან უკი-დებენ ცეცხლს, სანამ ყურამდე ღრმად მივა, სწრაფად გამოიღებენ. იგივე სამკურნალო მეთოდია მითითებული კახეთის ეთნოგრაფიულ მასალაში [მინდაძე, ჩირგაძე, 2005:21], აჭარაში ჩაწერილი მასალის მიხედვით ყურის ტკივილისათვის იყენებენ კრაზანის ნახარშს და ქაფურს [კაშია, შავიანიძე, 2011:123].

XV ს. დაწერილ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი ,,სამკურნალო წიგნში” ჩამოთვლილია ყურის დაავადების შემდეგი სამკურნალო საშუალებები: ,,აიღე საბრი და ზაფრანა... ოთხი მარცვალი მუხუდო. ეს სამივე დანაყე, მერმე გალესილი ქაფური სამისა მარცვლისა ქერისა წონა ამ წამლებშიგა გაურიე ორი დრამი იისა ზეთი და ამისი წონა ქალის დედისა რძე შიგან გაურიე და მერმე წვეთ-წვეთი ყურშიგა ჩაუშვი” [ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, II, 1988:357]

იმერეთში ყურის ტკივილის დასაამებლად იციან გახურებული (მარლაში გამოკრული) მარილის დადება, აწვეთებენ გამთბარ ქაფურს, ქალის რძეს და შავი ბოლოკის

წვეთებს. იყენებენ ყურის გამორეცხვის მეთოდებს, რისთვისაც იხმარება თბილ რძეში არეული თაფლი. კახეთში ყურში აწვეთებენ შემთბარ ზეთს ან ანწლის ნახარშის წვეთებს, ადებენ ცხელ მარილს [მინდაძე, ჩირგაძე, 2005:25].

თავის ტკივილები შეიძლება გამოწვეული იყოს ფრონტიტ-ჰაიმორიტის დაავადებით, რომელიც ხალხში **..დაჩრდილვის"** სახელითაა ცნობილი. ძლიერ ტკივილს იწვევს სამწვერა ნერვის ანთება ანუ **შაკიკი,** მისთვის დამახასიათებელია ნახევარი თავის მწვავე ტკივილი, რომელიც პერიოდულად ერთსა და იმავე დროს მეორდება. მესხურ კარაბადინში, ნახევარი თავის ტკივილის დასაამებლად ვკითხულობთ: ,,პურის გული სპირტში შეზილეთ ცომსავით და გაპარსულს თავზე ჩამოაცვით" (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 2199) XIII ს. კარაბადინში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 304) შაკიკის დროს მჯავე მაწვნის საფენებია დასახელებული.

ძველი ქართული მედიცინა თავის ტკივილის დასაყუჩებლად იყენებს ხმელ ქინძს. **,,იადიგარ-დაუდში"** ვკითხულობთ: ,,თავის ტკივილის წამალი ესე არის, რომე ქინძის წვენი გალესილი თავზედა შემოსცხონ, ან სალათის თესლი დანაყონ, ძმრით დააყენონ, ცოტა ქაფურიცა ურიონ და მტკივან თავზედა შემოსცხონ, ან შაქრითა ხმელი ქინძი ჭამონ" [დ. ბაგრატიონი, 1985:243]. ოკრიბაში ჩაწერილ შაკიკის შინაურ რეცეპტებში მითითებულია ტყემლის ტყლაპი და დაჩეჩქვილი ხმელი ქინძი. იმერეთის სოფ. კუხში მცხოვრები სვანური მოსახლეობა დაჩრდილვის დროს იყენებს ნიორ გარეულ არყის კომპრესებს. არაყში გარეული დანაყილი ნივრით თავის შეზელა ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში [მინდაძე, 1981:60], აჭარაში იყენებენ ხმელ ქინძს, იის ფესვების ნახარშს, მჟავე მაწონს [კაშია,შავიანიძე, 2011:124].

საქართველოს ყველა კუთხეში ,,დაჩრდილვის" დროს აქტიურად გამოიყენება ტყემლის ტყლაპის კომპრესები. ტყემალი მოხსენიებულია ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში (,,უსწორო კარაბადინი", 1799 წლით დათარიღებული სამკურნალო წიგნი) როგორც სამკურნალო თვისებების მქონე.

თავის ტკივილის დასაამებლად ძმრით დაყენებული წამლის რეცეპტებს გვთავაზობენ: ,,იადიგარ-დაუდი", ,,წიგნი სააქიმოი" და ერთ-ერთი კარაბადინი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 1231). ,,თრიაქი, ფუფალი, ქაფური, ვარდის, იისა და ყაყაჩოს წყალი ერთპირად გალესოთ და ცოტა ძმარი გაურიოთ და თავმტკივან კაცსა თავზედა შემოსცხონ, თავის ტკივილს უსათუოდ უშველოს" _ გვასწავლის ,,იადიგარ-დაუდი" [დ. ბაგრატიონი, 1985:242] ,,დაჩრდილვის" სამკურნალოდ იმერეთში ჩავიწერეთ რეცეპტი, სადაც გამოიყენება ძმარი, როგორც სამკურნალო საშუალება, მასში ალბობენ ტყემლის ტყლაპს და უკრავენ ავადმყოფს თავზე.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფმა სოფ. კურსებში ჩაიწერა **კანის** იშვიათი დაავადების - წითელი ქარის წამალი, რომელიც თითქმის იდენტურია სამკურნალო წიგნებში მოცემულ რეცეპტებთან. მალამოს ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია - ტყვიის ჟანგი და ქაფური.

ძირმაგარას, ჩირქოვანი გამონაყარის სამკურნალოდ ,,იადიგარ-დაუდი" გვთავაზობს: ,,დამწვარი ხახვი და ცომის საფუარი ორივ მუწუკსა მწოვედ დაამწიფებს და შემოიყვანს" [დ.

ბაგრატიონი, 1985:508] მსგავსი რეცეპტია მოცემული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ერთ-ერთ ხელნაწერში (XIX ს. I ნახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 1148ა)

თანამედროვე შინაური საშუალებები ეხმიანება ძველ სამკურნალო ცოდნას. ქვემო იმერეთსა და ოკრიბაში ძირმაგარის შემთხვევაში იხმარება ერთმანეთში არეული მომწვარი ხახვი, თაფლი, ნიორი. ზემოდან აფარებენ ეკლის ან მრავალძარღვას ფოთოლს. ძირმაგარას წინააღმდეგ აღოსავლეთ საქართველოშიც შემწვარი ხახვი და ქუმელის ფაფა გამოიყენება [მინდაძე, 1981:66]

მეჭეჭის მოსაცილებლი საშუალება ჯერ კიდევ XIII ს. წყაროებშია მოცემული [სააკაშვილი, გელაშვილი, 1956:67] XVI ს. სამედიცინო წიგნში ვკითხულობთ: ,,ძველის ყირმიზის აბრეშუმით შეუჭირეთ და გაუშვას, მეჭეჭი გახმეს და ჩამოვარდეს" [ბაგრატიონი, 1940:512] XIX ს. დათარიღებული სამედიცინო ხელნაწერი მეჭეჭის გასაქრობად გვასწავლის: ,,მოიღე დამბალის დიდგულიანი მარცვალი და ამ მარცვალს მოუსვამდე მეჭეჭზედ, სამდღემდინ ყოველთვისა და უთუოდ გაქრება" (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი H – 2197) მეჭეჭის მოშორების მსგავსი მეთოდები მოქმედებს დღესაც ხალხურ მედიცინაში.

დამწვრობის სამკურნალოდ ძველი ქართული მედიცინა სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს გვთავაზობს: ,,ახლად დამწვრისათვის კვერცხის ცილა ერბოთი შეზილე და შემოსდევ და კარგია და მარგე... კარაქი დამწვარს უშველის" [ქანანელი, 1940: 390, 433]. ასევე ,,კვერცხისა თეთრი ვარდის ზეთითა გაადგინოს და ტილოს მჩვარი მით დაასოვლოს მრავალჯერ და შემოსდვას, ერგების" [წიგნი სააქიმოი, 1936:295]. **,,იადიგარ-დაუდის"** თანახმად, დამწვარ ადგილზე ცივი წყალი უნდა გადაასხას, შემდეგ გვთავაზობს მალამოებს, რომელთა შემადგენლობაში შედის: კვერცხის ცილა, ქაფური, ზეთი, ძირმწარე, დანაყილი საბრი, ძმარში მოხარშული ჭადრის ქერქი, სუსანის ძირი, ტუხტი ან მოლოქის ყვავილი [ბაგრატიონი, 1985:543].

დამწვრობის მკურნალობის დღევანდელი ხალხური რეცეპტები (ჩაწერილი ქვემო იმერეთში, ოკრიბაში, სამეგრელოში, აჭარაში, კახეთისა და მთიანეთის მასალებში) ძირითადად იგივე კომპონენტებს შეიცავს: უმარილო ღორის ქონი, კურდღლის ქონი, კვერცხი, ზეთი, თაფლის სანთელი, კარაქი, დათვის ქონი, ფიჭვის ზეთი, კრაზანა.

ქართველი ხალხის სამედიცინო კულტურული მემკვიდრეობა აერთიანებს როგორც ნატუროპათიას, ასევე მაგიურ მედიცინასა და მედიკამენტების ისტორიას.

წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული მასალა ჩაწერილია ა. წერეთლის უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის კვლევითი მიმართულების მომძიებელთა ჯგუფების მიერ იმერეთის ეთნოისტორიული, ყოფითი კულტურის შესწავლის დროს.

საქართველოში სამედიცინო ცოდნა ტრადიციულად დაცული იყო. გვარი უფრთხილდებოდა შინაური წამლის დამზადების რეცეპტს და ცდილობდა წამლის დამზადების წესები სხვა გვარში არ გასულიყო. დღესდღეობით ხალხური სამედიცინო მონაცემების გაცნობა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მეტწილად მოსახლეობა ასეთ სიფრთხილეს აღარ იჩენს და მთხრობელთა უმრავლესობამ გაგვიზიარა წინაპრებისაგან ნასწავლი შინაური წამლის დამზადების წესები.

ქვემო იმერეთის სოფლებში ჩავიწერეთ მდიდარი სამკურნალო მემკვიდრეობიდან არა ერთი უცნობი შინაური წამლის რეცეპტი.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა შინაგან სნეულებათა დაავადებების (თირკმელის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღველის და ა. შ.) წნევის დამარეგულირებელი, სასუნთქი გზების სამკურნალო საშუალებები.

ჩვენ ამ დაავადებათა ხალხურ საშუალებებზე სამეცნიერო ჟურნალებში გამოვაქვეყნეთ რამდენიმე სამეცნიერო სტატია. ამჯერად ყურადღება გავამახვილეთ დაავადებებზე, რომელთა სამკურნალო საშუალებები ხალხურ მედიცინაში იშვიათად მოიპოვება. წარმოგიდგენთ ისეთი სნეულებების რეცეპტებს, როგორიცაა: თმის ცვენის, უძილობის, მარილების, თვალის დაავადებათა, სოკოვანი ავადმყოფობის შინაურ წამლებს, სახსრების ტკივილისა და დიაბეტის მკურნალობის მეთოდებს.

თმის ცვენის შესაჩერებლად გვასწავლეს:

1. ჭინჭრის ფოთლის ნაყენი, რომელიც თავის დაბანის წინ უნდა შეიზილოთ თმაში

2. გამოიყენება ასევე ქაცვის ფოთლის ნაყენი, როგორც დასალევად, ასევე ძილის წინ თმაში შესაზელად

3. თავზე წასასმელად ხალხური მედიცინა გვთავაზობს ხახვის წვენისა და სპირტგარეული წყლის ნარევს (ჩაწერილია სოფ. მათხოჯი, მთქმელი თინა ბარაბაძე, 1994წ.)

4. სხვა ვერსიით – დაჭრილ ხახვს ასხამენ ღვინოს, უმატებენ თაფლს. ეს ნარევი უნდა მიიღოთ თითო სუფრის კოვზი სამჯერ დღეში

5. დაბანის შემდეგ თმაში შესაზელად მიგვითითეს სპირტზე დაყენებული ჭინჭრის ფოთოლი (სოფ. პატარა კუხი, მაღლაკი, დარეჯან ლიპარტელიანი, ირმა სარავა, 1995წ.)

ძილის წინ ხახვის ჭამა გვასწავლეს **უძილობის** დასაძლევად.

უძილობას შველის ძილის წინ 2 ჭიქა თხის ან ძროხის რძის დალევა; გვირჩიეს ასევე თბილი წყლით მუხლების დაზელა და შუბლზე პურისა და დაკეპილი მჟავე კიტრის ნარევის დადება (სოფ. ღანირი, დალი ჩხენკელი, 1995წ.)

იმერეთში განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა **მარილების** სამკურნალო საშუალებები:

1. უნდა მიიღოთ დაფქული სტაფილოს თესლი ჭამამდე ნახევარი საათით ადრე
2. ლიმონისა და ნიორის ნაზავს გვთავაზობენ დილით უზმოზე
   (სოფ. დიდი კუხი, ადელი კაკაბაძე, 1998წ.)
3. უზმოზე დასალევია ასევე იასამნის ფოთლების ნახარში
4. დასალევად გვასწავლეს ყვითელი სიმინდის ნაქუჩალას ნაყენი
5. ლიმონის, კვერცხის, თაფლისა და არყის ნაზავი
6. ლიმნისა და ნივრის ნარევი და ა. შ. (მასალა ჩაწერილია სოფლებში: მაღლაკი, ქუტირი, გორდი, 1994-95წწ.))

ოკრიბაში მარილების სამკურნალოდ ავადმყოფს ასმევენ სამოთხის ვაშლის ფოთლების დაშაქრულ ნაყენს (დ. შავიანიძე, 2005, გვ. 75)

თვალის ტკივილის (ლიბრის) დროს გვასწავლეს შემდეგი სამკურნალო მეთოდი: წვრილი ლოკოკინები უნდა დაიფქვას, დაეყაროს შაქრის პუდრა და ამ ნაზავის საფენი

ათავისუფლებს თვალს ლიბრისაგან (ეს რეცეპტი ზემო იმერეთშია გავრცელებული, იგი ჩაგვაწერინა ზესტაფონიდან სამტრედიაში გათხოვილმა ქალბატონმა – მარინე ცაბაძე-შალამბერიძემ, 1997წ.)

თვალის სიწითლის ანუ გარსის ანთების დროს ხალხური მედიცინა ჩაისა და ოხრახუშის ნახარშის საფენებს გვთავაზობს.

თვალზე ჯიბლიბოს (ქუქუ ან ზიბზიბა) შემთხვევაში მკურნალები მეძუძური ქალის რძის ჩაწვეთებას გვირჩევენ (სოფ. მათხოჯი და დიდი კუხი, ოლია ჟორჟოლიანი, ელენე გორდაძე, 1996წ.)

საქართველოს მთიან რეგიონებში თვალზე გაჩენილი თეთრი სიმსივნის – ე.წ. ,,ფრჩხილის" დროს გუგაზე მწყრის ან კურდღლის ქონს უსვამენ. იყენებენ ასევე ქალის რძეს, მხედველობის დაქვეითების დროს მთიულები ღვიძლის ჭამას ურჩევდნენ (ნ. მინდაძე, 1981, გვ. 68)

როგორც აღვნიშნეთ, ხალხური მედიცინა ბალახეულ წამლებთან ერთად იყენებს მაგიურ მეთოდებს, შელოცვებს. თვალის დაავადებათა მკურნალობისას მოსახლეობა დღესაც იყენებს შელოცვებს, რომლებიც მხოლოდ თვალის სნეულებთა შემთხვევაში გამოიყენება:

,,თვალი ხარ და ბედნიერი, ლამაზი და მშვენიერი, სიმწრით მოსული, სიგემრიელით წასული, რა არის შენი წამალი? ია, ვარდი, ქალის რძე და შაქარი"

ჯიბლიბოს (ზიბზიბას) შელოცვა: ,,ძაღლი ჩემი ლუკმა შენ, ჩემი ზიბზიბა შენ და შენი კაი თვალი მე" (ტექსტი წარმოთქმისას უნდა განმეორდეს სამჯერ)

სამკურნალო შელოცვას ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამხმარე, განკურნების ხელშემწყობი მეთოდი.

სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ ხალხური მედიცინა სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობს:

1. ფეხის სოკოს დროს ღვინის ძმარში ფეხების ჩაწყობა
2. ფრჩხილზე მანდარინის კანის შეზელა
3. გოგირდს დამატებული თევზის ქონი, რომელსაც ქათმის ფრთით ისვამენ დაზიანებულ ფრჩხილზე

(ჩაწერილია სოფ. მათხოჯი, ხიდი, შურა ხვინგია, მზია კაკაურიძე, 1996წ.)

ფრჩხილზე ხორცის შეზრდის საწინააღმდეგოდ ხალხური მედიცინა ბროწეულის კანის ნახარშს გვასწავლის.

ვისაც ფეხის ოფლიანობა აწუხებს, მან დანაყილი მუხის კანი, ასევე თეთრი შაბი უნდა გამოიყენოს

ე. წ. **,,პადაგრის**" სამკურნალო რეცეპტი შეიცავს ათქვეფილი კვერცხის გულის, მარილისა და სოდის ნარევს (ხონი, გურგენ ჯიმშელეიშვილი, 1997წ.)

<u>**სახსრების**</u> ტკივილის სამკურნალო საშუალებები:

1. ფეხებზე იხვევენ შემთბარ მაყვლის წვენში დასველებულ ტილოს
2. უზმოზე უნდა ვსვათ თაფლში არეული ალოე (სოფ ქუტირი და დიდი კუხი, ნინა რუხაძე, მარინე მეშველიანი. 1994-96წლ.)

დიაბეტის სამკურნალოდ გამოიყენება:

1. დაფნის ფოთლების ნაყენი
2. მოცვის გამხმარი ფოთლების ნახარში
3. მოცვის, ჭინჭრისა და ბაბუაწვერას ფოთლების ნაყენი (სოფ. გუბი, დიდი კუხი, ციალა ბალანჩივაძე, ადელი კაკაბაძე, 1998წ.)

წინამდებარე ნაშრომით ჩვენ მხოლოდ ნაწილი წარმოგიდგინეთ იმ მდიდარი მემკვიდრეობიდან, რასაც ხალხურ სამკურნალო საშუალებებს და დაავადებათა მკურნალობის შინაურ მეთოდებს უწოდებენ.

ეთნოგრაფიული კვლევის დროს გამოვლენილი ხალხური მეთოდები და რეცეპტები, ვფიქრობთ, დიდ დახმარებას გაუწევს სამედიცინო დარგის მკვლევარებს.

დღესდღეობით მოსახლეობა ძირითადად კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას მიმართავს, მაგრამ ხალხური სამედიცინო მემკვიდრეობა კვლავ გამოიყენება და ავადმყოფის მდგომარეობის შემსუბუქებას ემსახურება.

ვფიქრობთ, მოყვანილი შედარებითი მაგალითებით დასტურდება, რომ ბევრი სამკურნალო მეთოდი სწორედ ოფიციალური მედიცინის, სამკურნალო კარაბადინების გავლენით გადმოეცა ხალხურ მეხსიერებას. მეტწილად ეს იმ სამკურნალო საშუალებებს ეხება, რომლებიც ეფექტურობით და შედეგიანობით გამოირჩეოდა, ამიტომ გაუძლო საუკუნეებს და დღესაც გამოიყენება ხალხურ, შინაურ მედიცინაში.

ლიტერატურა:

1. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, II, თბ., 1988
2. დავით ბაგრატიონი, იადიგარ-დაუდი, თბ., 1985
3. ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, წიგნი სააქიმო¡, თბ., 1936
4. მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია,ტ. III, წ. 3, თბ., 1956
5. ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები (კახეთი); თბ., 2005
6. რ. კაშია, დ. შავიანიძე, მკურნალი ზემო აჭარიდან, წელიწდეული (ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შრომები), III, ქუთ., 2011
7. ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981
8. ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, თბ., 2003
9. დ. შავიანიძე, რ.კაშია, რ.ხაჭაპურიძე, ეთნოისტორიულიკვლევები,ქუთაისი, 2010
10. დ. შავიანიძე, ოკრიბა, ქუთაისი, 2005
11. რ. ხაჭაპურიძე, მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ისტორიიდან, ქუთ., 2006

Ramaz Khachapuridze

Akaki Tsereteli state University

Issues of Georgian traditional medicine and history of medicines

(Ethnohistorical parallels)

Abstract

In the ancient Georgian written sources, the combination of the healing methods given in the ancient medical carabiners with folk recipes has clearly shown that several effective remedies are still preserved in the folk memory. Researcher N. Mindadze notes: "It is not excluded that some medicines were established in folk medicine under the influence of Georgian official medicine" [N. Mindadze, N. Chirgadze, 2005, p. 53]

Medication has the same long history as medicine, in the modern sense of the term. That is, from the moment when the primitive people "from the expulsion of evil spirits (for which they used various spells, talismans and amulets), began to take practical measures of healing, which was manifested first in the use of heat and cold, and then herbs, minerals and animals.

From animal remedies - milk, snake skin and turtle shell. But most of the medicines, at least, were of plant origin, for example cassia, myrrh, kvliavi (root), part of the cut seed, part of the roots, branches, date palm, etc.

Plants were preserved, stored in small portions or prepared in powder form. By that time, various chemical-technological processes were known (filtration, dilution, crushing, distillation, drying, steam extraction), on the basis of which primitive pharmaceutical technology was created.